



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49231804

თარიღი:29/06/2023

**როლეტა ახალადისათვის შრომითი ხელშეკრულების  
ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 დეკემბრის #23 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **როლეტა ახალადეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში (შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე დასაქმებულ პირი) დამლაგებელს - მხარეთა შეთანხმებით გაუგრძელდეს 2017 წლის 30 ივნისის #36/120 ბრძანების საფუძველზე დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადა 6 თვით, 2023 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. 2017 წლის 30 ივნისის #36/120 ბრძანების საფუძველზე, დადებული შრომითი ხელშეკრულების მე-6 მუხლში შევიდეს ცვლილება /თან ერთვის/, ხოლო მოქმედი ხელშეკრულების პირობები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭემივილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

